კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის მედიის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Journalism and Mass Communication
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	
ქართულად:	ჟურნალისტიკის ბაკალავრი, 0321
ინგლისურად:	Bachelor in Journalism, 0321
პროგრამის დამტკიცების თარიღი	14.11.2006, ბრძანება N45
პროგრამის განახლების თარიღი	30.11.2024, ბრძანება N01/01-73
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	აფილირებული პროფესორი ნინო ჟიჟილაშვილი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	240 ECTS

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს:

- I სასწავლო წელი - 60 ECTS კრედიტი
- II სასწავლო წელი - 60 ECTS კრედიტი
- III სასწავლო წელი - 60 ECTS კრედიტი
- IV სასწავლო წელი - 60 ECTS კრედიტი

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი და სხვა), ასევე, მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.

სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი. სტუდენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მას არ აქვს უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში აითვისოს 75 ECTS კრედიტზე მეტი.

240 ECTS კრედიტიდან პროგრამაში გათვალისწინებულია:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი: 156 ECTS კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სავალდებულო კომპონენტი: 50 ECTS კრედიტი (მათთვის, ვინც ინგლისურს იწყებს B1.0 დონიდან, 40 ECTS კრედიტი).

- თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი: 34 ECTS (44 ECTS კრედიტიმათთვის, ვინც ინგლისურს იწყებს B1.0 დონიდან,).
- თავისუფალი არჩევითი კომპონენტი: მაქსიმუმ 20 ECTS, რომელიც სტუდენტს შეუძლია მიიღოს ან კავკასიის უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან, ან მობილობის დროს აღიარების პროცესით.

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ვადაა 4 აკადემიური წელი. ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით, განაგრძოს დამატებითი სემესტრების განმავლობაში, საერთო ჯამში, არაუმეტეს 6 აკადემიური წლისა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში.

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება	
პროგრამის მიზანი	**პროგრამის ზოგადი კონტექსტი** მაღალი პროფესიული სტანდარტების მქონე მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების პროცესში: ✓ ის მოქალაქეებს აწვდის იმ ზუსტ და სანდო ინფორმაციას, რაც მათ გადაწყვეტილებების მიღებისას ყოველდღიურად სჭირდებათ; ✓ ის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამოსავლენად და პრევენციისათვის, ეწევა ძალაუფლების მქონეთა უწყვეტ მონიტორინგს; ✓ ის მოქალაქეებს მარტივად და ნათლად განუმარტავს იმ ფუნდამენტური ცვლილებებისა და რთული პროცესების არსს, რაც თან სდევს პოლიტიკური სისტემის სრულყოფისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს, ეკონომიკურ რეფორმებს, ინსტიტუციურ მშენებლობას, საგარეო პოლიტიკაში ახალი ვექტორების გაჩენას; ✓ ის მოქალაქეებს მრავალფეროვნად აწვის მოსაზრებებს, რთავს მათ საზოგადოებრივი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ დებატებში. იმისათვის, რომ თანამედროვე გამოწვევებისთვის იყოს საკმარისად მოქნილი, პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებს. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო აკადემიურ პროგრამა წარმოდგენილი პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს როგორც მედიისა და ჟურნალისტიკის, ასევე, მისი მომიჯნავე სფეროების მრავალმხრივი ცოდნა და პრაქტიკული უნარები. მან მუშაობა უნდა შეძლოს ნებისმიერი ფორმატის მედიაში და მასობრივი კომუნიკაციის სფეროს სხვადასხვა სექტორშიც, როგორიც არის მარკეტინგული კომუნიკაციები და საზოგადოებასთან ურთიერთობები. კურსდამთავრებულს, ასევე, უნდა ჰქონდეს სოციალური მეცნიერებების გაკრვეული მიმართულებების საფუძვლების ცოდნა; შეეძლოს მედიის კვლევა.

	ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულმა: **მიზანი N1:** იცოდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში ჟურნალისტური ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების არსი; იცოდეს მედიის გავლენების, მისი სხვადასხვა კონტექსტის მნიშვნელობა და ამ კონტექსტში საკუთარი, როგორც მედიის პროფესიონალი წარმომადგენლის როლი; **მიზანი N2:** შეძლოს მსჯელობა, ანალიზი და მოსაზრებების ჩამოყალიბება; მოსმენა და დისკუსია; გამოიმუშავოს ვერბალური, აუდიო-ვიზუალური, წერილობითი პრეზენტაციის, ქართულ და ინგლისურ ენებზე მაღალი დონის კომუნიკაციის უნარები. **მიზანი N3:** იმუშაოს სრულფასოვანი პროფესიული სტანდარტითა და ჟურნალისტური ეთიკის პრინციპების დაცვით; **მიზანი N4:** შეძლოს სხვადასხვა ტიპისა და ფორმატის მედიასაშუალებებისთვის მუშაობა; გარემოსთან სწრაფი ადაპტაცია; მიიღოს კომპლექსური ცოდნა და უნარები სამაუწყებლო, ონლაინ, ბეჭდურ მედიაში - ფოტო, აუდიო, ვიდეო, ციფრულ ფორმატებში სხვადასხვა პოზიციაზე სამუშაოდ (ახალი ამბების რეპორტიორი ნებისმიერ მედიასაშუალებაში, ვიდეოჟურნალისტი, ციფრული მედიის ჟურნალისტი, მრავალფეროვანი შინაარსისა და ფორმის ციფრული მედიაპროექტების პროდიუსერი და ა.შ.); **მიზანი N5:** შეძლოს მედიის მომიჯნავე სფეროებში (საზოგადოებასთან ურთიერთობები, მარკეტინგული კომუნიკაციები) და მედიის კვლევით პროექტებზე მუშაობა.
პროგრამის სწავლის შედეგები	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა ამზადებს სფეროს ფართო პროფილის სპეციალისტს, რომელსაც პროგრამის დასრულების შემდეგ აქვს მისი მიზნების შესაბამისი ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. კონკრეტულად:

	შედეგი N1: განსაზღვრავს დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების, ჟურნალისტის პროფესიის სამოქალაქო და სოციალურ მნიშვნელობას; აღწერს იმ ვალდებულებებს, რაც ამ პროფესიული ჯგუფის წევრობას თან ახლავს; **შედეგი N2:** საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში, აიდენტიფიცირებს და გადმოსცემს მედიისა და კომუნიკაციის სხვადასხვა არხის გავლენებს; აღწერს და ხსნის ჟურნალისტის პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერების, პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლობის მნიშვნელობას; პრაქტიკული საქმიანობისას ის ოპერირებს დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების ხელშესაწყობად; პასუხისმგებლობის მაღალი დონით; **შედეგი N3:** წერილობით და ვერბალურად მიმოიხილავს, ინტერპრეტირებს, აანალიზებს, აჯამებს ეპოქების, ისტორიული კონტექსტების, ფილოსოფიური ნააზრევების, ლიტერატურული და პუბლიცისტური ნაწარმოებების შინაარსს, ამ პროცესში ისმენს განსხვავებულ აზრს და დემონსტრირებს, როგორც პრეზენტაციისა არგუმენტირებული დისკუსიის, ასევე, დასკვნის გამოტანის უნარებს; ავლენს კომპეტენციას სოციოლოგიაში, ეკონომიკაში; ქართულ და ინგლისურ ენებზე პრეზენტირებს საკუთარ ნამუშევრებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; **შედეგი N4:** ხსნის და ასაბუთებს ჟურნალისტური სტანდარტებისა და პროფესიული ეთიკის ნორმებს; პრაქტიკულად აშუქებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ, სოციალურ, საზოგადოებრივ და ა.შ. საკითხებს, პროცესში კი ოპერატირებს მაღალი პროფესიული სტანდარტის დაცვით; **შედეგი N5:** შესაბამისი აღჭურვილობისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სწრაფად იკვლევს და აგროვებს ინფორმაციას; საზღვრავს პრიორიტეტულ საკითხებს; აორგანიზებს, აკავშირებს, აანალიზებს ახალ ამბებსა და მის კონტექსტს; ამზადებს, იწერს და ამუშავებს ინტერვიუს და აუდიტორიას

	ინფორმაციას გადასცემს მიწოდების საჭიროების შესატყვისი ფორმით; ეფექტურად ამუშავებს მონაცემთა ბაზებს, აწარმოებს ჟურნალისტურ გამოძიებას; **შედეგი N6:** მაღალი პროფესიული სტანდარტითა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, სწრაფად ადაპტირებს ახალ, კონკურენტულ, მულტიდისციპლინურ და მულტიკულტურულ გარემოში, აორგანიზებს მედიაპროდუქტის შექმნას, როგორც ინდივიდუალურად, ასევე, გუნდურად; ადმინისტრირებს სფეროში დაგეგმილ პროექტებს; პროფესიულად პროგრესირებს დამოუკიდებლად; **შედეგი N7:** საბაზისო დონეზე იკვლევს მედიის საკითხებს: გამართულად სვამს საკვლევ შეკითხვას, ირჩევს კვლევის რელევანტურ მეთოდს, ამუშავებს შესაბამის მასალებს, საზღვრავს და აორგანიზებს კვლევის დიზაინს, წერილობით აყალიბებს და აანალიზებს მიგნებებს, აკეთებს დასკვნებს - აკადემიური წერის სტანდარტების, მისი ეთიკური პრინციპებისა და კეთილსინდისიერების დაცვით; **შედეგი N8:** საბაზისო დონეზე ამუშავებს PR (საზოგადოებასთან ურთიერთობები) და მარკეტინგულ საკომუნიკაციო სტრატეგიებს. იკვლევს სამიზნე აუდიტორიას, გეგმავს, წერილობით და ზეპირად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, გადმოსცემს გეგმის არსს; აღასრულებს და აფასებს; ფოტო-ვიდეო- აუდიო-ციფრულ ფორმატებში იღებს, ამუშავებს და სამიზნე აუდიტორიამდე მიაქვს პროექტისთვის საჭირო გზავნილები და მასალები.

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა (მოდულების, სასწავლო კურსების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)													
	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\ მოდული	სწავლების წელი								ჯამური ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
სავალდებულო სასწავლო კურსები I აკადემიური წელი												
1.	JOUR 1130	არ აქვს	მედია მონიტორინგი	5								
2.	GEO 1130	არ აქვს	ქართული მართლწერა და მართლმეტყველება	5								
3.	LIT 1130	არ აქვს	პუბლიცისტიკა *	5								
4.	HIST 1030	არ აქვს	საქართველოს ისტორია *	5								
5.	CIS 1230	არ აქვს	საინფორმაციო ტექნოლოგიები და მათი გამოყენება	5								
6.	ENGL 0005 ENGL 0007	არ აქვს ENGL 0006	ზოგადი ინგლისური B1.0/B2.0	5								
7.	JOUR 1233	არ აქვს	ახალი ამბები		6							
8.	MCOM 1230	არ აქვს	პროფესიული ეთიკა და თვითრეგულირება		5							
9.	MCOM 1232	არ აქვს	მასობრივი კომუნიკაცია		5							
10.	ACAW 1231	არ აქვს	აკადემიური წერა *		4							
11.	PHIL 1030	არ აქვს	თანამედროვე აზროვნების საფუძვლები *		5							
12.	ENGL 0006	ENGL 0005	ზოგადი ინგლისური B1/B2		5							

	ENGL 0008	ENGL 0007										
სავალდებულო სასწავლო კურსები II აკადემიური წელი												
13.	JOUR 2131	არ აქვს	ფოტოჟურნალისტიკა			5						
14.	CIS 2131	არ აქვს	ვიდეოპროდაქშენი			5						
15.	PSYC 2133	არ აქვს	კომუნიკაციის ფსიქოლოგია *				5					
16.	SOCI 2131	არ აქვს	სოციოლოგია *			5						
17.	LIT 2130	არ აქვს	მსოფლიო ლიტერატურა, I ნაწილი *			5						
18.	ENGL 0007 ENGP 0130	ENGL 0006 ENGL 0008	ზოგადი ინგლისური B2.0 PT1 პროფესიული სამიზნე ენა			5						
19.	JOUR 2235	JOUR 1233 JOUR 2131 MCOM 1230 CIS 2131	ახალი მედია და მონაცემთა ვიზუალიზაცია				6					
20.	JOUR 2233	CIS 2131 MCOM 1230	ვიდეოჟურნალისტიკა				5					
21.	MCOM 3230	არ აქვს	გამოხატვის თავისუფლების მსოფლმხედველობრივი წანამძღვრები *			5						
22.	SPCH 2231	არ აქვს	მეტყველების თეორია და კულტურა				4					
23.	LIT 2230	არ აქვს	მსოფლიო ლიტერატურა, II ნაწილი *				5					
24.	ENGL 0008 ENGP 0230	ENGL 0007 ENGP 0130	ზოგადი ინგლისური B2 PT2 პროფესიული სამიზნე ენა				5					
სავალდებულო სასწავლო კურსები III აკადემიური წელი												
25.	JOUR 3131	JOUR 1233 CIS 2131 MCOM 1230 SPCH 2231	რადიოგადაცემების მომზადება					5				
26.	JOUR 3133	JOUR 1233 JOUR 2131 JOUR 2235 MCOM 1230	ბეჭდური მედია					5				

27.	PR 3135	არ აქვს	საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიები და ტაქტიკა					5				
28.	MCOM 3130	არ აქვს	მედიის სამართალი					5				
29.	ECON 0008	არ აქვს	ეკონომიკა					5				
30.	ENGP 0130	ENGL 0008	PT1 პროფესიული სამიზნე ენა					5				
31.	JOUR 3234	JOUR 1233 CIS 2131 MCOM 1230 SPCH 2231	ტელეგადაცემების მომზადება						6			
32.	MARK 3231	არ აქვს	მარკეტინგული კომუნიკაციები						4			
33.	SOCI 3230	ACAW 1230 SOCI 2131	მედიის კვლევის მეთოდები *						5			
34.	ENGP 0230	ENGP 0130	PT2 პროფესიული სამიზნე ენა						5			
სავალდებულო სასწავლო კურსები IV აკადემიური წელი												
35.	JOUR 4033	JOUR 3231 JOUR 3133	ეკონომიკისა და ბიზნესის გაშუქება							5		
36.	JOUR 4034	CIS 2131	დოკუმენტური ფილმი							5		
37.	JOUR 3233	JOUR 1233 CIS 2131 MCOM 1230 MCOM 3130	საგამოძიებო ჟურნალისტიკა და მონაცემთა ანალიზი							5		
38.	MLAB 4230	I- VII სემესტრების სასწავლო კურსები სრულად, გარდა *-ით მონიშნული კურსებისა	მოდული: მედიალაბი მოიცავს პროდაქშენის პროცესს და შემდეგ მიმართულებებს: - პოლიტიკის გაშუქება - კონფლიქტებისა და კრიზისული სიტუაციების გაშუქება - მედია მენეჯმენტი და ახალი ამბების პროდიუსინგი								15	
არჩევითი სასწავლო კურსები III-IV აკადემიური წლები												
39.	JOUR 4133	JOUR 3131 JOUR 3231	რეპორტინგი ინგლისურ ენაზე					5				

		ENGP 0230							
40.	ADV 3131	არ აქვს	რეკლამა					5	
41.	JOUR 4037	JOUR 3133 JOUR 3231	კულტურის ამბების გაშუქება					5	
42.	WRIT 2231	არ აქვს	კრეატიული წერა					5	
43.	CULT 4131	არ აქვს	ინტერკულტურული კომუნიკაცია					5	
44.	PR 4130	PR 3130	"პიარ" ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა					5	
45.	HIST 4030	არ აქვს	ქართულ-რუსული ურთიერთობები					5	
46.	LIT 4030	არ აქვს	თანამედროვე ლიტერატურა					5	
47.	PR 4031	PR 3130	პოლიტიკური „პიარ" კამპანიების დაგეგმვა და მართვა					5	
48.	JOUR 4135	JOUR 1233 MCOM 1230 JOUR 2233 JOUR 2235	ციფრული თხრობა					5	
49.	JOUR 4233	JOUR 3133 MCOM 1230 CIS 2131	მედია და გარემო					5	
50.	JOUR 3230	არ აქვს	მონაცემები და ციფრული ჟურნალისტიკა					5	
51.	JOUR 4830	JOUR 3234	სტუდიური ლაბი					5	
52.	JOUR 0032	არ აქვს	საველე პრაქტიკა 1					5	
53.	JOUR 0033	არ აქვს	საველე პრაქტიკა 2					5	
54.	FREE 0031	არ აქვს	თავისუფალი კრედიტი 1					5	
55.	FREE 0032	არ აქვს	თავისუფალი კრედიტი 2					5	
56.	FREE 0033	არ აქვს	თავისუფალი კრედიტი 3					5	
57.	FREE 0034	არ აქვს	თავისუფალი კრედიტი 4					5	

შენიშვნები:

- თუკი არჩევით საგანს/აქტივობას მითითებული აქვს აკადემიური წლის რამდენიმე სემესტრი, ეს ნიშნავს, რომ სტუდენტს მისი არჩევა, წინარეკვიზიტის დაცვით, შეუძლია ნებისმიერ მითითებულ სემესტრში;
- განმარტებები მოდულ მედიალაბის, თავისუფალი კრედიტების ათვისებისა და საველე პრაქტიკის შესახებ იხილეთ ქვემოთ.

ECTS კრედიტები	სემესტრში	30	30	30	30	30	30	30	30	240
	წელიწადში	60		60		60		60		

შენიშვნა :
მოდული მედიალაბის აღწერა: მოდული მედიალაბი არის მეოთხე აკადმიური წლის II სემესტრის სავალდებულო 15 ECTS კრედიტიანი მოდული, რომელშიც შედის 3 მიმართულება (სასწავლო კურსი): პოლიტიკის გაშუქება, კონფლიქტებისა და კრიზისული სიტუაციების გაშუქება, მედია მენეჯმენტი და ახალი ამბების პროდიუსინგი. ამ კურსის მიზანია ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამაზე სწავლის 7 სემესტრის განმავლობაში მიღებული თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარები, ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა გაუძლიეროს, განამტკიცებინოს და გაუღრმავოს. ეს არის პროგრამაზე სწავლის ბოლო სემესტრზე გაწერილი შემაჯამებელი სასწავლო კურსი, რომლის ფინალურ ნაწილშიც სტუდენტები ინტენსიურად, რეალურ ნიუსრუმთან მაქსიმალურად დაახლოებული მოდელების მიხედვით, იმუშავებენ მედიაპროდუქტის შექმნაზე. კურსის ბოლოს გათვალისწინებულია დასკვნითი პროექტის მომზადება და მისი საჯარო დემონსტრირება. საგანს უძღვება რამდენიმე ლექტორი. **თავისუფალი კრედიტების სისტემა:** სტუდენტთა აკადემიური ინტერესის ფართოდ დაკმაყოფილების, მეორე უცხო ენის შესწავლის, მედია ინდუსტრიასთან კავშირის გაძლიერებისა და კვლევით პროექტებში სტუდენების ჩართვის მოტივაციის ზრდის მიზნით, კავკასიის მედიის სკოლა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, პროგრამის დასრულებისათვის საჭირო 240 ECTS კრედიტიდან 20 დააგროვოს თავისუფალი, 10 კი - ალტერნატიული კრედიტების (საველე პრაქტიკის) გზით. ამისთვის სტუდენტს შეუძლია: ➢ არჩევითი საგნების ნაცვლად გაიაროს მისთვის საინტერესო საგნები კავკასიის უნივერსიტეტის სხვა სკოლებში, ან პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებში, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, წინარეკვიზიტის დაცვით – მაქსიმუმ 20 ECTS კრედიტი; ➢ არჩევით სასწავლო კურსად გაიაროს საველე პრაქტიკა მისთვის საინტერესო ორგანიზაციაში - მაქსიმუმ 10 ECTS კრედიტი. • საველე პრაქტიკა სტუდენტს შეუძლია გაიაროს 2-ჯერ, III და IV საფეხურებზე, როგორც სწავლის პერიოდში, ასევე ზაფხულის განმავლობაში. საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში პრაქტიკის გავლა შესაძლებელია 2-ჯერ – სწავლების მესამე და მეოთხე საფეხურებზე. სტუდენტს ასევე, აქვს შესაძლებლობა საველე პრაქტიკის ფარგელბში სემესტრის განმავლობაში პრაქტიკულად, პროფესიული პროფილით იმუშაოს კავკასიის უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულისთვის, ან კავკასიის მედიის სკოლის სხვადასხვა სტუდენტური პლატფორმის, პრაქტიკული და კვლევითი პროექტისთვის. ამ შემთხვევაშიც მოქმედებს ზემოაღწერილი პროცედურა. „საველე პრაქტიკის“ კურსზე რეგისტრაციისთვის სტუდენტს უნდა ჰქონდეს კუმულაციური **GPA არანაკლებ 3.0**. საველე პრაქტიკასთან დაკავშირებული პროცედურები და ფორმები მოცემულია დანართში.